საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 488 2019 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოსა (წარმოდგენილს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის თანხმობის მიცემისა და გრანტის მიმღებ ორგანოდ განსაზღვრის შესახებ

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს სახელით ხელი მოაწეროს საქართველოსა (წარმოდგენილს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებას.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

გიორგი გახარია